საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება № 28

ბათუმი „27“ აგვისტო 2024 წ.

უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის 2024 წლის 26 აგვისტოს N1403 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის შემდეგი ვაკანტური თანამდებობა:

- საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის აპარატის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ერთი საშტატო ერთეული).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდეს შიდა კონკურსი.

3. დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ცეცხლაძეს უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიამ (ვ. ცეცხლაძე) უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატში ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დახურული კონკურსის ჩატარება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით არაუგვიანეს 2024 წლის 15 ოქტომბრისა.

5. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ცეცხლაძეს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე